მსოფლიოში სახელგანთქმულ მხატვარს პაბლო პიკასოს დაბადების 90 წელი შეუსრულდა. რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი ელენე ახვლედიანი იგონებს მასთან შეხვედრას მე-3 გვერდზე.

წაიკითხეთ!

„ლომის გვარისა“ — ასე ჰქვია ნარკვევს, რომელიც ცნობილი ქართველი ფალავნის შოთა ლომიძის სპორტულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ამ მასალას მე-6 გვერდზე გთავაზობთ.

განცხადებებს და სპორტულ ინფორმაციებს გაეცნობით მე-7 გვერდზე. წაიკითხავთ ალექსანდრე მეტრეველის ტრიუმფულ გამარჯვებებზე, ჩვენს მოჭიდავეთა წარმატებებზე.

სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა ● № 20 (175). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 22 ოქტომბერი

შესანიშნავი მეცნიერი, რომელიც მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას დედაენისა და მშობლიური კულტურის შესწავლას ახმარს, ილვწის მეცნიერების განვითარებისათვის, პედაგოგი, რომელიც მხურვალედ ემსახურება ახალი თაობის აღზრდას — ასე იცნობენ ჩვენში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგეს, პროფესორ შოთა ძიძიგურს. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს პროფესორი ალექსანდრე ღლონტი გაზეთის მე-2-3 გვერდებზე.

მეორე გვერდზე გთავაზობთ საუბარს ჟანა ცეტშე-სირაძესთან, რომელიც ერთ თვეს იყო სტუმრად საქართველოში მამასთან და ძმებთან.

ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი მორის ფოცხიშვილი კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. დღევანდელი გაზეთის მე-4 გვერდზე წაიკითხეთ მასალა პოეტზე. აქვეა დაბეჭდილი მორის ფოცხიშვილის ლექსი „უკანასკნელი „მეფაეტონე“, რომელიც კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ სიმღერად აქცია და დიდი სიყვარულით აიტაცა ხალხმა.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი ბარბალე ყიფიანი ევროპაში მოღვაწე იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთი მეცნიერული მიღწევებით სახელსა და დიდებას მატებდნენ ჩვენს ერს. წერილი ამ პირველი ქართველი ფიზიოლოგი ქალის შესახებ წაიკითხეთ მე-5 გვერდზე.

არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული! — ესაა დაკანონებული ჩვენს სამშობლოში. არ არიან დავიწყებული ის ქართველი ვაჟკაცებიც, საკუთარი მკერდით რომ შეკრეს დერბენდი და დარიალი და სიცოცხლის ფასად დაიცვეს სამშობლო... მათ სადიდებლად უკვდავების ძეგლი შექმნეს არქიტექტორებმა ვახტანგ დავითაიამ, ალეკო ჩიქოვანმა და მოქანდაკე გულდა კალაძემ. მადლიერმა სამშობლომ ამ ახალგაზრდების ეს ნამუშევარი კომკავშირის პრემიით აღნიშნა.

მასალები რუბრიკით — „ყოველი მხრიდან“ შეიძლება წაიკითხოთ მე-8 გვერდზე. აქ მოთხრობილია ამერიკელ გუბერნატორთა სტუმრობის ამბავი საქართველოში, ლაპარაკია ქართული ენის გრამატიკის ფრანგულ გამოცემაზე, „ორერას“ საგასტროლო გზებზე, შორეული ცურვის კაპიტან კონსტანტინე ვარდანაშვილსა და მის ოჯახზე.



● ● ● შეხვედრა...

სიმონ კილაძის ფოტო.

ჩვენი ინტერვიუ

მომავალ შეხვედრამდე, მშობლიურო საქართველოვ!

ზუსტად ერთი თვე იყო სამშობლოში ჰანა ცეტში—ჰანა სირაძე. და აი დადგა მამასთან, ძმებთან, რძლებთან, ახლადშეძენილ მეგობრებთან განშორების დღეც. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამგზავრების წინ ქალბატონი ჰანა რედაქციაში გვესტუმრა, თითოეული ჩვენგანი გულში ჩაიკრა და, მომავალ შეხვედრამდეო, გვითხრა.

ძვირფას სტუმარს რამდენიმე კითხვით მივმართეთ. საქართველოში ნანახსა და განცდილზე საუბარმა ქალბატონი ჰანა ისე გაიტაცა და გაახალისა, რომ დაგეგმილი ერთი საათის ნაცვლად რედაქციაში სამი საათი დაჰყო.



● **ქალბატონო ჰანა, რა გრძნობები მიგყვებათ შინისკენ მიმავალს?**

თვითონ განსაჯეთ, რა გრძნობები უნდა მიჰყვებოდეს ადამიანს, რომელმაც გულის ნახევარი ასე მოგვიანებით ნაპოვნ სამშობლოში დატოვა, ხოლო მეორე ნახევარი სიხარულით, ბედნიერებით, სიკეთითა და სითბოთი ავსებული საგულეში ვერ დატეულა. დღეს მე ბედნიერიც ვარ და სევდაც მეუფლება. მშობლის ალერსი ხომ ყველა ასაკში ერთნაირად ესაჭიროება ადამიანს, მასთან შეხვედრა და განშორება ხომ ყოველთვის ერთნაირად გვაღელვებს, გვიფორიაქებს სულს. ვინ იცის, კიდევ როდის შეგხვდება ჩემს ძმებს, ნათესავებს. ამაზე ფიქრიც კი მაშინებს, მაგრამ ჩვენ, სირაძეები ოპტიმისტები ვართ — ვეცდებით ერთმანეთი კიდევ მრავალჯერის ვინახულოთ... მაპატიეთ, თუ თქვენს კითხვაზე ზუსტად ვერ გაძლევთ პასუხს, მაგრამ გამიგეთ, განცდილისა და ნანახის შესაჯამებლად მათი სიმრავლის, მრავალფეროვნების გამო, ალბათ, საკმაოდ დიდი დრო დამჭირდება.

● **რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება საქართველოში მოგზაურობისას თქვენზე?**

თითოეული ნაბიჯი, რომელიც ჩემი შორეული სამშობლოს მიწა-წყალზე გადავდგი, უბის წიგნაკში ჩავიწერე. სიამოვნებით დაგთანხმებოდით ჩემოვის ასე ძვირფასი დღიურის გამოქვეყნებაზე, მაგრამ იგი ჯერ დასაბეჭდად სრულყოფილი არ არის. ჩანაწერებში ჩაუხედავად კი, კითხვაზე, რამ განმაცვიფრა საქართველოში, ასე გეტყოდით: ყველაზე მეტად ქართულმა სტუმართმოყვარეობამ. იცით, მისი ძალა მე გერმანიაშიც ვიგრძენი. ქართველი მამაკაცები ისე მსუბუქად, ისე ლამაზად არღვევენ საუკუნეებით განმტკიცებულ გერმანული სტუმართმასპინძლობის წესებს, რომ განცვიფრდებით. ქართველთა გერმანელი მეუღლეები შეეჩვივნენ ხშირ და ძალზე ხელგაშლილ სტუმრიანობას და სიტყვა „სტუმარი ღვთისაო“, მათთვისაც კანონად იქცა. მაგრამ ის, რაც აქ, საქართველოში ვნახე, ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება. მინდა ქართულ სტუმართმოყვარეობასთან შეხვედრის ორიოდე შემთხვევა გაგიზიაროთ. მინდვრად გაშლილ სუფრას რამდენიმე კაცი უზის. გვერდით ჩავუარეთ, იწყინეს, რა შორიდან გვივლითო, წამოიშალნენ და მიგვიწვიეს. რომ გაიგეს, გერმანიიდან ვიყავი, აღარ იცოდნენ, პატივი როგორ ეცათ. ჩემი ძმა ჩვენს თავგადასავალს მოუყვა, ბევრს თვალზე ცრემლი მოადგა, ერთი ხუთჯერ მაინც დალიეს ჩემი სადღეგრძელო, თითოეულმა თავისი მისამართი ჩამაწერა უბის წიგნაკში, შინ მიმიპატიჟა.

ყაზბეგში ჩასული შემთხვევით ამ თვალწარმტაცი კუთხის შვილის, პოეტ ალექსი გომიაშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად გაშლილ სუფრაზე მოვხვდი. სუფრის თამადამ პოეტმა კარლო კალაძემ, კრიტიკოსმა ბესარიონ ჭყონტმა, იუბილარმა, მისმა მეუღლემ და ყველამ, ვინც კი სუფრაზე იყო, მადღეგრძელა, ბედნიერება მისურვა, ჩემი სიხარული გაიზიარა.

სიტყვა გამიგრძელდა და აღარაფერს ვამბობ შესანიშნავი ქართული ძეგლების — ჯვრის, სვეტიცხოვლის, გელათის შესახებ, მათი სიდიადე ჩემზე უკეთ იცით. იმის თქმა, რომ მათი მნახველი მხოლოდ განცვიფრებული ვარ, ძალზე ცოტა იქნებოდა.

ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება ის გრანდიოზული ზეიმი, რომელიც საქართველომ აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს გაუმართა. მეხსომება და ყველას მოვუთხრობ, როგორ შევხვდი და ვესაუბრე კონსტანტინე გამსახურდიასა და მის ვაჟიშვილს ზვიადს. როგორ მოვისმინეთ მიხეილ მუსხელიშვილის ბალადა და მოკრძალებულ კოხა გერულის სიმღერის ნამყვანი. რაოდენ დიდი პატივი დამდო უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე შავ ზღვაზე დასვენებისა და მოგზაურობის საშუალება რომ მომცა.

დიახ, მე თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის მთელი საქართველო მოვიარე — ვიყავი კახეთში და ვნახე რთველი, დავათვალიერე სასაფლაოები, ვიყავი თეატრებსა და ქარხნებში, მუზეუმებსა და გამოფენებზე... და, ბოლოს, სწორედ აქ თბილისში, მამაჩემისა და ძმების ოჯახში გადავიხადე დაბადების დღე. ვიცი, არ შემეკითხებით, რამდენი წლისა გავხდი, მაგრამ იმ დაბადების დღეზე, რომელიც საკუთარი მამის თანდასწრებით პირველად აღვნიშნე, ყველას ყველაფერი უნდა გავაგებინო — 7 ოქტომბერს 53 წელი შემისრულდა.

● **ქალბატონო ჰანა, იმან, რომ თქვენ მამა იპოვეთ და საქართველოში ჩამოხვედით, „სამშობლოს“ მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში ხშირად მოდის მოლოცვის წერილები, ბევრს აინტერესებს, როგორია ჰანა ცეტში-სირაძის მომავლის გეგმები.**

ჩემი უახლოესი გეგმა გახლავთ რაც შეიძლება მალე აღმოვჩნდე მასპინძლის როლში, იქ გერმანიაში მივიღო ჩემი მამა და ძმები. რაც შეეხება მკითხველთა კეთილ სურვილებს, გადაგიცით, რომ მე ძალზე მახარებს მათი ყურადღება, რომ ამ ჩემს სიხარულში მათაც მიუძღვით წვლილი. და კიდევ ერთი: მინდა ყველამ იცოდეს, რომ ჩემს ბედნიერებაში უპირველეს მადლობას გაზეთ „სამშობლოს“ და მის რედაქტორს ვახტანგ ესვანჯიას მოვახსენებ. უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას, მის თავმჯდომარეს ბატონ ოთარ გიგინეიშვილს, მათ ხომ ყველაფერი გააკეთეს, რათა მე მამა, ძმები, საქართველო მეპოვნა.

● **რა არის თქვენი ყველაზე დიდი სურვილი?**

რაც შეიძლება მალე, საქართველოში შემდეგი ჩამოსვლისას ჩემს სისხლსა და ხორცს ქართულად ვესაუბრო, თუმცა ამ თვალწარმტაც ქვეყანაში ძალიან ბევრი ლაპარაკობს გერმანულად, ინგლისურად და სხვა ევროპულ ენებზე.

მომავალ შეხვედრამდე, ქალბატონო ჰანა!..

ჩვენი ინტერვიუ

ვახტანგ პარკაძე—პარიზის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის რაფიელ დვალის სახელზე ამ დღეებში მოვიდა მეცნიერების ისტორიისა და ფილოსოფიის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტის წერილი. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეცნიერების ისტორიკოსთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ვახტანგ პარკაძე არჩეულია მეცნიერების ისტორიკოსთა პარიზის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ პარკაძე მეოთხედი საუკუნეა იკვლევს მე-4—მე-19 საუკუნეების იმ ძველ ქართულ ძეგლებს, რომლებიც ფიზიკის ელემენტებს შეიცავენ; სწავლობს აგრეთვე ქართველი და რუსი ფიზიკოსების ურთიერთობას, ევროპელ და ამერიკელ მეცნიერთა ნაშრომებს და მათ გავლენას ფიზიკის განვითარებაზე საქართველოში უკანასკნელი სამასი წლის მანძილზე. სპეციალისტთა საუკეთესო შეფასება დაიმსახურა ვახტანგ პარკაძის ნაშრომებმა: „ბასილ კესარიელის მე-4 საუკუნის ძეგლის „ექვსთა დღეთა“ შესწავლა“, „უფლისწულ დავით ბაგრატიონის „შემოკლებული ფიზიკა“, ანტონ ბაგრატიონის „ვოლფიანური თეორიული ფიზიკის“ თარგმანი და კომენტარები; საინტერესოა აგრეთვე მისი გამოკვლევები პეტრე ბაგრატიონის, მიხეილ ლომონოსოვის, ბორის, ფრანკლინის, ლეონარდო და ვინჩის, პეტროვისა და სხვათა ნაშრომების შესახებ.

მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო ვახტანგ პარკაძის საზღვარგარეთ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა: „XX საუკუნის საქართველოს ფიზიკოსთა მიღწევები“, „პეტრე ბაგრატიონი“, „ანტონ ბაგრატიონი“, „რუსი და საზღვარგარეთელი ფიზიკოსების იდეები გასულ საუკუნეთა ქარ-

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

(პროფესორ შოთა ძიძიგურის დაბადების 60 წლისთავის გამო)

შოთა ძიძიგურს პირველად 1929 წელს გავეცანი. მაშინ უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსზე სწავლობდა, მე კი ის-ის იყო ფეხი შევდგი ცოდნის ამ დიდ ტაძარში. შოთას სახელი სკოლაშიც მქონდა გაგონილი. „მოწაფის ხმაში“ აქვეყნებდა ლექსებსა და წერილებს, რომელთაც ინტერესით კითხულობდა საშუალო სკოლის მაშინდელი მოსწავლეობა.

შოთა უნივერსიტეტშიც სამაგალითო სტუდენტად ითვლებოდა. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ქართული მეცნიერების ქურუმები: ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე და დიმიტრი უზნაძე, გიორგი ჩუბინაშვილი და სიმონ ყაუხჩიშვილი.

აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის საქმიანობაში. აქ განსაკუთრებით დამახსოვრდა მისი ერთი მოხსენება, რომელიც ქვემოიმერულის ფონეტიკურ პროცესებს ეძღვნებოდა. სხდომას გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, ვარლამ თოფურია ესწრებოდნენ. მოხსენება ცოცხლად წარიმართა. ყველას ინტერესი გამოიწვია მდიდარმა მასალამ და მისმა მკაფიო ანალიზმა. გიორგი ახვლედიანმა კმაყოფილება ვერ დამალა და ჩვეული ალერსიანობით შეაქო სტუდენტის მოხსენება. ვარლამ თოფურიამ იგი სანიმუშოდაც ჩათვალა. ახალბედა სტუდენტები ხომ სულ აღტაცებით ვუსმენდით ამ მსჯელობას. შემდეგ ავტორს ეს მოხსენება ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზეც გაამეორებინეს.

შოთა ძიძიგურმა წარმატებით დაამთავრა ქართული უნივერსიტეტი და საასპირანტო კურსის გასავლელად გაემგზავრა ლენინგრადს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში. ენისა და აზროვნების ინსტიტუტში იგი მეცადინეობდა განთქმული მეცნიერების ნიკო მარის, ივანე მეშჩანინოვის, ლევ შჩერბას, ვასილ სტრუვეს ხელმძღვანელობით. მასთან ერთად აქვე თეორიული ენათმეცნიერების საფუძვლებს ეუფლებოდნენ ასპირანტები (ახლა უკვე სახელგანთქმული მეცნიერები) თევდორე ფილინი და ევგენი ბოკარევი, მირა გუხმანი და სოლომონ კაცნელსონი, ავნია დესნიცკაია და ვიქტორია იარცევა, მიხეილ ჩხაიძე და იოსებ მეგრელიძე, რომელთაც მოგვიანებით მიხეილ ჩიქოვანი და ამ სტრიქონების ავტორიც შეუერთდა. უფროს თაობასთან ერთად (ძმები კარპეზ და ვარლამ დონდუები, გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, ვასილ აბაევი), ლენინგრადში შოთა ძიძიგური აქტიურად მონაწილეობდა კავკასიისმცოდნეობის პრობლემების გაშუქებაში, აქვეყნებდა ნაშრომებს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში.

1935 წელს შოთა ძიძიგური ენისა და აზროვნების ინსტიტუტში წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას („ქართული დიალექტების კლასიფიკაციის ცდა“) და 1936 წელს სამშობლოში ბრუნდება. უნივერსიტეტში იწყებს ლექციების კითხვას, ხოლო პარალელურად სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას განაგრძობს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში, 1941 წლიდან კი, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შეიქმნა, მის სისტემაში.



შოთა ძიძიგურის სამეცნიერო მოღვაწეობა რამდენიმე მიმართულებით განვითარდა. მისი მეცნიერული ინტერესის ფარგლებში შემოდის ქართული ენის სტრუქტურისა და ლექსიკის, ფონეტიკური სისტემისა და დიალექტების, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, დამწერლობის განვითარების, მწერლის ენისა და ფოლკლორისტიკის საკითხები. ცოდნის ამ დარგების განვითარებაში მას თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი.

...პიკასოსავან

„90 წლის წინათ (1881) დაიბადა პაბლო პიკასო, ფრანგი მხატვარი“ — ასეთი ძუნწი ცნობა შეიძლება ამოიკითხოთ ქართული კალენდრის ერთ-ერთ გვერდზე, რომელსაც 25 ოქტომბერი აწერია. ასეთივე ცნობა შეიძლება წაიკითხოთ ყველა კალენდარსა თუ ცნობარში, ქართული იქნება ის, რუსული, არაბული, ესპანური, ფრანგული თუ იტალიური... რადგან არ არსებობს დედამიწის ზურგზე ქვეყანა, სადაც არ იცნობდნენ პიკასოს და მის დიდ, ნათელ შემოქმედებას.

90 წლის წინათ დაიბადა პაბლო პიკასო — ამ სიტყვებს გაშიფვრა არა სჭირდება. ამ უბრალო სიტყვების მიღმა დგას გენიალური მხატვარი, უდიდესი შემომქმედი, რომლის ღრმა, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედება — ეს არის უზარმაზარი სავანძური, საუსე ფასდაუდებელი სამკაულებით.

ერთ-ერთი ასეთი სამკაული, შეიძლება ძალზე პატარა, მაგრამ მაინც ძვირფასი, რადგან მას პიკასოს ხელი შეხებია, ამშვენებს რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს, სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის სალონს. მასზე წარწერაა: „მადამ ელენე ახვლედიანს. პიკასო“. როდის შეხვდა ქართველი ხელოვანი ამ დიდ მხატვარს? როდის მიიღო საჩუქრად ეს სურათი? ვეკითხები მასპინძელს. აი რა გაიხსენა ქალბატონმა ელენემ.

— ეს იყო 1926 წელს პარიზში. სამხატვრო გალერეა „ოთხი გზა“-ში პერსონალური გამოფენა მქონდა. გამოფენის გახსნიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა პიკასო. გამაცნეს. დაათვალიერა გამოფენა. რამდენიმე ნამუშევარი— ძირითადად ძველი თბილისის კუთხეები — მომიწონა. საუბარში თქვა, სტამბიდან მოვდივარო, საქაღალდიდან რამდენიმე სურათი ამოიღო და გვთხოვა გაგვერჩია რომელი იყო ორიგინალი და რომელი სტამბური წესით დაბეჭდილი. გვრავენ, ვინც კი იქ ვიყავით, ვერ შეძლო ამის გაკეთება. პიკასომ გაიცინა, თქვენ კი არა, მეც ვერ ვარკვევო. შემდეგ ერთ-ერთი სურათი შეარჩია და წარწერით მომიძღვნა. წარმოიდგინეთ, როგორ გამახარებდა ეს ამბავი.

— ქალბატონო ელენე, იქნებ გვითხრათ რამდენიმე სიტყვა ამ დიდ შემომქმედზე.

— სიმართლე გითხრათ, გამიჭირდება ამ ბუმბერაზზე რამის თქმა. იგი გენიოსია, მრავალმხრივი, მრავალფეროვანი, საინტერესო. პირადად ჩემთვის ძალზე გასაგებია მისი შემოქმედების ყველა ეტაპი. პირდაპირ საოცარია, რა გულში ეტევა ამდენი სიახლე ან რა ხელები აქვს ასეთი ძლიერი! მას აქვს უდიდესი ფანტაზია, საშყაროს თავისებური ხედვა, უთრიალო გამოთქმების ნაცვლად— და რასაც უნდა აკეთებდეს, ყოველთვის პიკასოდ რჩება, არასდეს არ დალატობს საკუთარ „მეს“. მედამ სწორი მხატვრული მსოფლმხედველობით გამოირჩევა. ხანდახან ვფიქრობ: რაღა დარჩა კიდევ უთქმელი? კიდევ რას მოიგონებს ახალს? მე თუ მკითხავთ, ჩვენი საუკუნის გენიაა...

— სად გინახავთ მისი ნამუშევრები?

— პარიზში, მოსკოვში. სხვათა შორის, იგი ერთადერთი მხატვარია, რომელსაც სიცოცხლეში უმართავენ გამოფენას ლუვრში.

— რას უსურვებდით პიკასოს დაბადების 90 წლისთავზე?

— რა შეიძლება უსურვო ადამიანს, რომელსაც უკვე აქვს მოპოვებული უკვდავება? და მაინც ვუსურვებდი, რაც შეიძლება დიდხანს იცოცხლოს, მის მტრედს ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანისათვის მოეტანოს სიკეთე და ბედნიერება.

საუბარი ჩაიწერა
ლია მიქაძემ

ჩვენი კალენდარი



უკვდავება

საქართველოში დიდი ზეიმით აღინიშნა გენიალური ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი. ეს იუბილე არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის დღესასწაულად იქცა. საიუბილეო ზეიმში, რომელიც კომპოზიტორის შემოქმედების ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის მკაფიო დადასტურება იყო, მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მრავალი ხალხთა მუსიკალური კულტურების გამოჩენილი წარმომადგენლები და მსოფლიოს ბევრი ქვეყნის თვალსაჩინო მუსიკოსები.

ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ქართული საოპერო ხელოვნების მებაირახტრის, დიდი ხაჭარიას უკვდავი ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ჩვენი ხალხის სიამაყე და დიდებაა. ამ ნაწარმოებთა სილამაზე და შთაგონება, დიდი ჰუმანიზმი მსოფლიო საოპერო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს მიაკუთვნებენ მათ.

საიუბილეო დღეებში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ეზოში, სადაც დაკრძალულია კომპოზიტორი, დაიდგა ბრინჯაოში ჩამოსხმული მისი ქანდაკება. ძეგლის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი მერაბ ბერძენიშვილი.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

თველი მეცნიერების ნაშრომებში“, „ქართული ფიზიკის ანტიკურობა და თანამედროვეობა“. ახლახან ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნდა ფრანგი მეცნიერის, აკადემიკოს ბრილიანის შემოქმედებითადმი მიძღვნილი სტატია, რომელიც პროფესორმა ვახტანგ პარკაძემ დაწერა მეცნიერების ისტორიკოსთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტ რენე ტატონთან და რამდენიმე ქართველ მეცნიერთან ერთად.

ამჟამად გამომცემლობა „მეცნიერება“ დასაბეჭდად ამზადებს ვახტანგ პარკაძის წიგნს „მსოფლიოს ფიზიკოსები“, რომელიც მისი პირველი წიგნის — „მსოფლიოს გამოჩენილი ფიზიკოსების“ გაგრძელებაა. პროფესორი მუშაობს აგრეთვე მონოგრაფიებზე „ფრანგი ფიზიკოსები“, „ისტორიული ცდები ფიზიკაში“ და ა. შ.

პროფესორი ვახტანგ პარკაძე პირველი ქართველი მეცნიერია, რომელსაც მიენიჭა მეცნიერების ისტორიკოსთა პარიზის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის საპატიო წოდება.

დიდი ღვაწლი მიუძღვის შოთა ძიძიგურს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესწავლაში. ამ საკითხს მიეძღვნა მისი ცალკე გამოკვლევები და ფუნდამენტური მონოგრაფია „კავშირები ქართულ ენაში“. ამ მონოგრაფიისათვის შოთა ძიძიგურს 1962 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. მონოგრაფიის ავტორი ჩვენს წინაშე წარმოდგა როგორც ქართული ისტორიული სინტაქსის ბრწყინვალე მკვლევარი.

თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც შოთა ძიძიგური ინტენსიურად იკვლევს ქართულ დიალექტებს. ხანგრძლივი დაკვირვებები განზოგადებული აქვს კრებულში „ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი“. კვლევა-ძიებას დიალექტოლოგიაში ავსებს მისივე კაპიტალური „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“, „მოხეური ლექსიკა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერების მიხედვით“, „ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკონი“, „ხანური სტრუქტურის სიტყვა ქართულ დიალექტებში“, „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებსა და ზანურში“. მეცნიერმა ნიკო კეცხოველთან და პავლე ხუბუტიასთან ერთად შეადგინა „ქართლურის ლექსიკონი“, რომელშიც ათასობით ადგილობრივი სიტყვაა გაცოცხლებულ-განმარტებული და მეცნიერების სამსახურში ჩაყენებული.

მკვლევარმა ხელი მოჰკიდა ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობის ახალი ასპექტით გაშუქებას. ამ საკითხს მიეძღვნა მისი წიგნები „რუსთაველის ენის საკითხები“, „მწერლის ენა“, „იაკობ გოგებაშვილი და ქართული საერთო-სახალხო ენა“, „ენა და ლიტერატურა“, „ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა“ და სხვა.

ჩვენი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა შოთა ძიძიგურის მონოგრაფიებს: „ნიკო მარი — ქართული კულტურის მკვლევარი“, „აკაკი შანიძე“, „გიორგი ახვლედიანი“.

1967 წელს გამოიცა შოთა ძიძიგურის მეცნიერულ-პოპულარული მონოგრაფია „ქართული ენა“, რომელიც ითარგმნა და გამოქვეყნდა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ახლა გერმანიაშიც იბეჭდება. წიგნმა ფართო გამოძახილი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

მკითხველთა ფართო მასებისათვის არის გათვალისწინებული შოთა ძიძიგურის მშვენიერი წიგნები „საენათმეცნიერო საუბრები“ და „ქართული ენის თავგადასავალი“. მათში მოთხრობილია ჩვენი მშობლიური ენის თავგადასავალი, წარმოდგენილია ცნობები მსოფლიოს მრავალი ენის შესახებ და სხვა საინტერესო საკითხები.

მნიშვნელოვანია შოთა ძიძიგურის წვლილი ფოლკლორისტიკაშიც. მან პირველმა შეისწავლა ნართული ეპოსის გამოძახილი საქართველოში, რასაც რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა, მათ შორის „ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები რაჭული დიალექტის მიხედვით“. მეცნიერის დაკვირვებანი აღძრულ საკითხზე დალაგებულია ცალკე წიგნში — „ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები“. 1959 წელს შოთა ძიძიგურის რედაქციით, წინასიტყვაობითა და ლექსიკონით დაიბეჭდა ქართული ხალხური ზღაპრების მოზრდილი კრებული.

მეცნიერულ გამოკვლევებთან ერთად შოთა ძიძიგურმა შეადგინა და გამოსცა საშუალო და უმაღლესი სკოლების რამდენიმე სახელმძღვანელო ქართულ ენასა და დიალექტოლოგიაში.

შოთა ძიძიგური ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ამასთან ერთად სისტემატურად აქვეყნებს სტატიებსა და შენიშვნებს, რომლებიც ეძღვნება ქართული ენის ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის სისხლხორცეულ საკითხებს. ცნობილია მისი წერილები ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემებზე, პრინციპული მნიშვნელობის გამოსვლები სალიტერატურო ენის ტრადიციული ნორმების დასაცავად და სხვა.

შოთა ძიძიგური 1936 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის უნივერსიტეტში, ქუთაისის, თბილისის, ბათუმისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1967 წლიდან სათავეში უდგას ჩვენი უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას.

შოთა ძიძიგური თანამშრომლობდა და თანამშრომლობს ბევრ საშეცნიერო გამოცემაში. არის „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების (პუმანიტარული მეცნიერებები)“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, უნივერსიტეტის საენათმეცნიერო (საკვალიფიკაციო) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი, თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს ქართული ენის სექციის თავმჯდომარე, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი და სხვა.

მეცნიერის შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. იგი მონაწილეა სწავლულთა მრავალი ფორუმისა ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

შოთა ძიძიგურის ღვაწლი მეცნიერების განვითარებასა და ახალი თაობის აღზრდაში ღირსეულად არის შეფასებული. 1962 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1967 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1968 წელს მიეკუთვნა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებითა და საპატიო სიგელებით.

შოთა ძიძიგური ეკუთვნის ქართველ მეცნიერთა იმ სახელოვან პლეადას, რომელიც მთელ თავის ცოდნას, ნიჭს, ენერგიას ახმარს დედაენისა და მშობლიური კულტურის შესწავლას, ახალი თაობის აღზრდას, მეცნიერების განვითარებასა და პროპაგანდას, ერის დიდებისათვის ბრძოლას.

თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობითა და პირადი თვისებებით პროფესორმა შოთა ძიძიგურმა ჩვენი საზოგადოების ფართო წრეების ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაიხსახურა. ვისაც კი ოდესმე საქმე ჰქონია მასთან, უბრალოდ გასაუბრებია ან შეხვედრია შინ თუ გარეთ, სხდომაზე თუ შეგობართა წრეში, შეუძლებელია არ მოხიბლულიყო მისი საუკეთესო ადამიანური თვისებებით, ტკბილქართულითა და ენამზეობით.

ასეთად მახსოვს მე იგი ოთხ ათეულზე მეტი ხანია და ასეთად იცნობს მას ჩვენი თაობა.


ალექსანდრე ღლონტი,
პროფესორი.






სამი ეპიზოდი მოხუცი მეეტლის ცხოვრებიდან

სიმონ კილაძის ფოტორეპორტაჟი



ლექსები სიმღერებად



ახლა მორისის სასიხარულო დღეებია. ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან მეგობრები, ხელს მაგრად ართმევენ. ეხვევიან და საპატიო ჯილდოს ულოცავენ — პოეტს ლექსების კრებულისათვის — „რწმენა“, წიგნისათვის „ხარულა და ხარხარა“ და საქართველოს კომკავშირისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლისათვის კომკავშირის პრემია მიენიჭა.

ახარებთ პოეტ მორის ფოცხიშვილის მეგობარ-ამხანაგებს მისი ასეთი აღიარება. ქართველი მწერლების სლოვაკი სტუმარი მილოშ კრნო გაკვირვებული და აღფრთოვანებული ამბობდა: ჩვენში ამგვარი ჯილდოს ამბავს მხოლოდ ვიწრო წრეში, ლიტერატურულ საზოგადოებაში იგებენ ხოლმე, თქვენთან კი ყველანი მონაწილეობენ პიროვნების დიდ სიხარულშიო.

აბა, იმის მეტი რა გვეთქმის, რომ ესეც ჩვენი ტრადიციაა, კარგი ტრადიცია. ძმისა და მეგობრის სიკეთე ჩვენ გვიხარია, შვილისა — სამშობლოს.

რაღა თქმა უნდა, თვითონ პრემიის ლაურეატიც დიდად გახარებულია, იმდენად, რომ ამ დღეებში პოეზიასაც ღალატობს. ყოველ შემთხვევაში, სტრიქონიც არ დაუწერია. მაგრამ ეს შეფერხება სრულიადაც არ გახლავთ სამშობლოში. აკი ამბობს კიდეც: ახლა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს არაფერი გამეკეთებინოს, თითქოს მთავარი წინ იყოს. გარშემო მყოფი ადამიანებისაგან დიდ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ, ნეტა ეს სითბო და სიყვარული ათასგზის დამებრუნებინოსო მათთვის...

მორის ფოცხიშვილი 1930 წელს დაიბადა. თბილისელი ბიჭია. ვაჟთა 37-ე სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. 1954 წელს თბილისის უნივერსიტეტმა ჟურნალისტის სპეციალობა მიანიჭა. ამ დროისათვის უკვე დაბეჭდილი იყო მისი ლექსები „ლიტერატურულ საქართველოში“, „ლელოში“, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერლების ალმანახ „პირველ სხივში“.

1957 წელს „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა ახალგაზრდა პოეტის პირველი კრებული „ალუბლები წვიმაში“, მერე ზედიზედ წერს ლექსებს და პოემებს. დღის სინათლეზე და მკითხველთა სამსჯავროზე გამოაქვს წიგნები: „გული დაეძებს გულს“, „ხმა“, „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, „ეს გაზაფხულიც მოვიდა“ და. ბევრი სხვა წიგნი, რომლებიც მომთხოვნმა და გემოვნებიანმა ქართველმა მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო. ეს ყურადღება მორის ფოცხიშვილის შემოქმედებისადმი დღითიდღე იზრდება. და აი, როდესაც საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა, ჩვენმა საზოგადოებამ ეს ამბავი სავსებით დროულ და კანონზომიერ მოვლენად მიიღო. აქედან იშვა სწორედ ის საერთო საზოგადოებრივი კმაყოფილება და სიხარული, წეღან რომ მოგახსენეთ.

პოეტ მორის ფოცხიშვილს იცნობს საქართველო და საბჭოთა კავშირიც იმ სამი ლექსების კრებულით, რომელიც რუსულად გამოიცა ამ ბოლო წლებში. თვითონაც ძალზე ნაყოფიერად მუშაობს უცხოური ლექსების გადმოქართულებაზე. მან მოამზადა საბჭოთა ლირიკოსების კრებული სათაურით: „სიბრძნე სიყვარულისა“ და ჩვენში ასე პოპულარი, თვით პოეტისთვისაც საყვარელი წიგნი — „მსოფლიოს პოეტები დედას“. ორ წელიწადს იმუშავა მორის ფოცხიშვილმა მთელი მუყაითობითა და გულმოდგინებით. შეკრიბა და თარგმნა ყველა ეპოქისა და სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი პოეტების ლექსები დედაზე, მეორე ნაშრომი ერთ წიგნში მოაქცია და ქართველ მოზარდებსა და მშობლებს უძღვნა.

ახლა მზადდება ამ წიგნის მეორე გამოცემა. უცხოეთში ბევრმა ახლახან გაიგო ამ წიგნის არსებობა. უკვე თვითონ პოეტები და მკითხველები სწორად სწერენ მორისს და სთავაზობენ ლექსებს დედაზე. ასე რომ, მეორე გამოცემა უფრო შინაარსიანი და მდიდრული იქნება.

პოეტი ახლა ამზადებს ლექსების ციკლს სათაურით — „ნოსტალგია“. „ნოსტალგია“ ავადმყოფობაა, რომელიც სამშობლოდან გარდახვეწილ ადამიანს უჩნდება და რომლის მკურნალობაც შეუძლებელია. ამ სევდას ვერც ზღაპრული სიმდიდრე არჩენს, ვერც ზღაპრული სიხარული. წამალი მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოა.

მორისის მეგობრებმა კარგად იციან პოეტის ჰობი: მხატვრობა და მუსიკა. საგულისხმოა, რომ მორისი მხატვარია, თვითნასწავლი და თვითმყოფადი. მონაწილეობა მიუღია როგორც თვითნასწავლი მხატვრების, ისე პროფესიონალების გამოფენაში და არცთუ ურიგოდ. მისი ნამუშევრები ერთხელ პრემირებულიც იყო.

რაც შეეხება მუსიკასთან პოეტის ურთიერთობას, ეს უფრო საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. იმდენად დიდია პოეტის ლტოლვა მუსიკისადმი, რომ ხან პოეზიიდან ირეკლება მუსიკაში, ხან პირიქით, მუსიკიდან გადადის პოეზიაში. კომპოზიტორებთან ფრიად საქმიანი, შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს. ხშირად ჰანგების ქართველი დიდოსტატები შორისის ლექსებზე ქმნიან კანტატებს, ორატორიებს, სიმღერებს. მორის ფოცხიშვილთან ერთად უმუშავიათ ოთარ თაქთაქიშვილსა და სულხან ცინცაძეს, ალექსანდრე შავერზაშვილსა და ვაჟა აზარაშვილს, ნოდარ გიგაურსა და ნუგზარ გეწაძეს...

კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ მის ლექსებზე შექმნა პოპულარული საესტრადო სიმღერები: „ვაი ვეღარ ვხედავ მზეს“, „კარგი გოგო, კარგი ხარ“, „არ მიყვარდა ერთი გოგო“, „ბალადა“, „უკანასკნელი „ვეფხიტყონე“...

ვიდრე წერტილს დავუსვამდეთ ჩვენს საუბარს, ერთსაც მოგახსენებთ:

საქართველოს ახალგაზრდობა თავისი ორგანიზაციის, კომკავშირის სახელობის პრემიით უკეთესთა შორის უკეთესს აჯილდოებს ხოლმე.

ამ პრემიის ლაურეატი უნდა იყოს: ახალგაზრდობის ჭკვიანი და მეგობარი. მათში სასახელო საქმეების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი.

პასუხად ამისა:

საქართველოს ახალგაზრდობა მორის ფოცხიშვილს იცნობს როგორც თავის მეგობარს.

საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული კონსულტანტი, ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

მორის ფოცხიშვილის ლექსებს სიმღერებად იმღერებენ საქართველოში და კაცს მეტი რა უნდა ბედნიერებად...

ჯემალ ქურხული

უკანასკნელი „ვეფხიტყონე“

მორის ფოცხიშვილი

ძველი თბილისი ისევ მიგონებს,
ნისლივით ჩნდება დარდი, —
ერთ დროს პირველი მეფაიტონე
ქუჩაში ფეხით დადის.

ძნელი ყოფილა თურმე სიბერე,
გულო გაუძელ ტკივილს,
წვიმა მოსულა, არვის ეგონოს
გაუიდულ არღანს ვტირი.

„ფანჯარაში მტრედია,
ნეტა ვისი ბედია,
არ მამიკლა, გენაცვალე,
ჩემი საყვარელია...“

მზეზე ვთბები და ხშირად
ვისვენებ,
რაღაც მინდოდა მეთქვა,
ვიხსენებ, მაგრამ ვერ
გავიხსენე
რატომ მოვედი თქვენთან.

არც ფაიტონი, აღარც ცხენები,
რატომ არაფერს მეტუვით, —
სად მიმაჭროლებს ჭენებ-
ჭენებით
წუთისოფელის ეტლი.

„ფანჯარაში მტრედია...“
ნეტა ვისი ბედია,
არ მამიკლა, გენაცვალე,
ჩემი საყვარელია...“

მივდივარ, ძნელი ყოფილა
წასვლა,
მშვიდად ვისტუმრებ ვალებს,

უკანასკნელი სიმღერის ფასად
უკანასკნელად დავლევ.

მივდივარ მიმაქვს ჩემსავით
ძველი
დარდს გუდურა გრილი,
უკანასკნელი ყარაჩოღელი
ემშვიდობება თბილისს...

„ფანჯარაში მტრედია,
ნეტა ვისი ბედია,
არ მამიკლა, გენაცვალე,
ჩემი საყვარელია...“

...მკერდით შეჰკრეს— დერბენდი და დარიალი...



ჭაღუმსმა კავკასიონის ფერდობზე ტყვიით დაცხრილული რკინის ჩაფხუტი იპოვნა. ადგილი მიჩხრიკ-მოჩხრიკა და შეკრთა, ადამიანის ძვლები რომ წამოედო კომბალს... თავქვე დაეშვა, ახლა სხვებს მოუთხრო საკუთარი თვალით ნანახი. მოგეჩვენაო ალბათ, უთხრეს, მან კი თავისი არ დაიშალა და ყველას უჩვენა ძვლებად ქცეული კაცები... სწორედ აქ, ქლუხორის უღელტეხილთან, ჰქონდათ დიდი ბრძოლები კავკასიის დამცველებს...

მოკვდნენ, მაგრამ მკერდით შეჰკრეს, დერბენდი და დარიალი...

ასე დავკანონეთ, არავინ და არაფერი არ ყოფილიყო დავიწყებული!

გადაწყდა: კავკასიონის გმირი დამცველებისათვის უკვდავების ძეგლი აეგოთ. ამ საქმეში პირველი სიტყვა ქართველ კაცს ეკუთვნოდა...

1942 წლის გაზაფხულზე დაიძრნენ რჩეული ქართველი ვაჟკაცები ჩრდილო კავკასიის ყინულოვან მთებში მომხდურის შესაჩერებლად. თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი მიწის შვილები ქლუხორის, მარუხისა და სანქაროს უღელტეხილებთან, ეს კარგად იცის ისტორიამ. სამასოთხმოცდამეთოთხმეტე დივიზიაში რუსები, სომხები, თათრები, უზბეკებიც იყვნენ, მაგრამ ქართველობა ერთიორად მეტი იყო. უკან არავის დაუხევია, ზურგი არავის უჩვენებია მტრისათვის.

გადაწყდა: კავკასიონის დამცველებისათვის ძეგლი უნდა აეგოთ...

საქართველოს კომკავშირის, არქიტექტორთა კავშირისა და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მრავალმა შემოქმედმა მიიღო მონაწილეობა. ეკუთვნილ პირველობა ქართველ არქიტექტორებს — ვახტანგ დვითაიას, ალეკო ჩიქოვანისა და მოქანდაკე გულდა კალაძის პროექტს არგუნა.

ქლუხორისაკენ მიმავალ გზაზე აგებული კავკასიონის დამცველთა მონუმენტი, რომელიც 1968 წლის ნოემბერში გაიხსნა, ათასობით ადამიანმა დაათვალიერა. ერთს რომ აქ მიხაკები მოაქვს, მეორე — დაღუპული მეგობრის სურათს მატებს მუზეუმს. თბილისის, ჭუთაისის, ზუგდიდის, მახარაძის, ყვარლისა თუ გორის ქართული მიწაც ბევრი მიზიდეს... მშობლიური მიწა მსუბუქიაო!

შესაქერი გმირია სადიდებლად აგებულ მონუმენტს და გრძნობს, მტერი აქ ვერ გაივლიდა, ჯალია კავკასიონს ფეხს ვერ დაადგამდა. ქვებად ამოზიდულან მიწიდან ვაჟკაცები, მათი ცქერა გაკრთობს, მაგრამ იცი, მტერ-მოყვარის გარჩევა არასოდეს რომ არ შეეშლებათ, მათ სადიდებლად კლდის თავზე მარადიული კანდელი ანთია.

ამ მონუმენტის სიდიადე რომ იგრძნოთ, უნდა ნახოთ იგი. ვინც ნახა, განცვიფრდა და მადლობა უთხრა მის ამშენებლებს. შთაბეჭდილებათა წიგნში უხვად ნახავთ ჩანაწერებს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე.

ძეგლი მართლაც რომ გმირობის საკადრისიაო, — ამ სიტყვებით მთავრდება თითქმის ყველა ჩანაწერი.

საზეიმო დღეებში, როდესაც საქართველოს კომკავშირმა 50 წლის იუბილე გადაიხადა, საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემია სხვებთან ერთად კავკასიის გმირი დამცველების ძეგლის ავტორებს — არქიტექტორებს ვახტანგ დვითაიას და ალექსანდრე ჩიქოვანს, მოქანდაკე გულდა კალაძესაც მიეკუთვნა.

ახალგაზრდა ლაურეატებს, რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში გვესტუმრნენ, მივულოცეთ ეს დიდი ჯილდო და ვთხოვეთ, მკითხველებისათვის თავიანთი ერთობლივი მუშაობის ამბავი მოეთხროთ და მომავალ გეგმებზე ელაპარაკათ.


ვახტანგ დვითაია: მე და ალეკო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებიდან ერთად ვმუშაობთ, გულდას კი საზღვარგარეთ ერთ-ერთი მოგზაურობის დროს დავუმეგობრდით. პირველმავე ერთობლივმა ნამუშევარმა ასე დიდი სიხარული მოგვიტანა. მეგობრობას მომავალშიც ვაგრძელებთ — უკვე გვაქვს ჩანაფიქრები, წინასწარ მათზე ლაპარაკი არ მიყვარს.


ალეკო ჩიქოვანი: მე და ვახტანგი არქიტექტორ გიული გეგელიასთან ერთად ამუამად ბაკურიანში ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრის „მზიური ველის“ სამუშაო პროექტს ვამთავრებთ. სულ ახლახანს გულდა კალაძესთან ერთად დონეცკის ოლქის სამრეწველო ქალაქ კონსტანტინოვკას დაპროექტებასა და კეთილმოწყობაში მივიღეთ მონაწილეობა.

გულდა კალაძე: ვახტანგთან და ალეკოსთან მუშაობა ჩემთვის, როგორც მოქანდაკისათვის, ძალზე სასიამოვნოა. რაც შეეხება კავკასიონის დამცველთა ძეგლზე მუშაობას, იმის თქმა მე, როგორც მოქანდაკემ, სამ კომპოზიციაში გადაუწყვეტი ერთს „კავკასიონის დამცველები“ ვუწოდე, მეორეს „დარდი“, მესამეს კი „ცხოვრება გრძელდება“. პირველში სამი დევკაცი მკერდით უღობავს გზას მომხდურს. „დარდი“ კი შვილის საფლავთან თავდახრილი მოხუცი დედ-მამის სახეზეა აღბეჭდილი. ახალგაზრდა დედას ბავშვი რომ ჩაუკრავს მკერდში, გვანიშნებს — სიცოცხლე კვლავ გრძელდებაო...

მე და ჩემს მეგობრებს ძალზე გვეამაყება, რომ საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატები გავხდით...

ეპპა. არავინ და არაფერი არ დავიწყებულა! ქართველმა ახალგაზრდობამ უკვდავების ძეგლი აუგო კავკასიონის გმირ დამცველებს...





სურათებზე: კომკავშირის პრემიის ლაურეატები ვახტანგ დვითაია, გულდა კალაძე და ალეკო ჩიქოვანი.

კავკასიის დამცველთა მემორიალური ანსამბლი. საერთო ხედი.

მუზეუმი.

კომკავშირის პრემიის ლაურეატზე

პირველი ქართველი ფიზიოლოგი ქალი

ბარბალე ყიფიანი

ცოტა ხანია რაც მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და სალექციო დარბაზებში მუშაობა დაამთავრა დიდმა საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც მეცნიერებათა ისტორიას მიეძღვნა.

კონგრესს ესწრებოდნენ და საყურადღებო მოხსენებები წაიკითხეს ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, მექსიკის, არგენტინის, იაპონიის, საფრანგეთის, იტალიის, ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. კონგრესის 12 სექცია ერთი კვირის განმავლობაში მთელი დატვირთვით მუშაობდა. მისმა მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს ასობით ლექცია-მოხსენება მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის პრობლემებზე, ანტიკური მეცნიერებისა და ტექნიკის, მათემატიკის, ფიზიკისა და ასტრონომიის, ქიმიისა და სხვა მეცნიერებათა ისტორიის შესახებ.

კონგრესის სექციების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს წარმომადგენლებიც. ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტთა დიდი ჯგუფი იყო წარგზავნილი მედიცინის თეორიული საფუძვლების ისტორიის სხდომებზე. აქ წაკითხული მრავალი მოხსენებიდან, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის ჯუმბერ ქორჩილავას ნაშრომი, რომელიც ქართველი ფიზიოლოგი ქალის ბარბალე ყიფიანის უცხოეთში, კერძოდ, ბელგიასა და საფრანგეთში მოღვაწეობას ეხებოდა.

ბარბალე ყიფიანი ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, ევროპაში სახელგანთქმული სპეციალისტი იყო. იგი არაერთხელ დაუჯილდოებიათ ოქროს მედლით საერთაშორისო კონგრესზე წარმოდგენილი მოხსენებებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენს სახელოვან თანამემამულეზე დღემდე ძალზე ძუნწი ცნობები მოგვეპოვება, ამიტომაც სექციის სხდომაზე წაკითხული მოხსენება ერთგვარი მიმართვაც იყო უცხოელი სპეციალისტებისათვის — თუ გაქვთ, მოგვაწოდეთ დამატებითი მასალები პირველ ქართველ ფიზიოლოგ ქალზე — ბარბალე ყიფიანზეო.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში კი გთავაზობთ ჯუმბერ ქორჩილავას წერილს. იგი გაგრძელებაა მოხსენებისა, რომელიც მან კონგრესზე წაიკითხა და მკვლევარს იმედს აძლევს ჩვენი მკითხველების დახმარებით ნათელი მოჰფინოს უცხოეთში გადახვეწილი კიდევ ერთი სასიქადულო მამულიშვილის ბიოგრაფიას.



ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი ბარბალე ყიფიანი ევროპაში მოღვაწე იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთი მეცნიერული მიღწევებით სახელსა და დიდებას მატებენ ჩვენს ერს. ბარბალე ყიფიანი სამეცნიერო ასპარეზზე მეოცე საუკუნის დამლეგს გამოვიდა. ბელგიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე სამეცნიერო მუშაობას იწყებს გამოჩენილი პროფესორის იუტეიკოს ლაბორატორიაში (ამ ორი მეცნიერი ქალის ურთიერთობა და მეგობრობა ათეული წლების მანძილზე გაგრძელდა). ზედიზედ აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებმაც მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიქცია.

1904 წელს აგვისტოში ბრიუსელში გამართულ ფიზიოლოგთა მეექვსე საერთაშორისო კონგრესზე 25 წლის ფიზიოლოგის ბარბალე ყიფიანის მოხსენებას, რომელშიც ავტორი დაწვრილებით ეხებოდა ადაპტაციის საშოძრაო ძარღვების მოქმედებაზე შაქრის გავლენას, საერთო ნოწონება და დიდი კამათი გამოიწვია. მათ შორის, ვინც ახალგაზრდა მომხსენებელი ტაშით დაჯილდოვა, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ივანე თარხნიშვილიც გახლდათ. წარსტებას წარმატებები მოჰყვა: 1905 წელს ბრიუსელში ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე ჩვენმა თანამემამულემ კვლავ დიდი აღიარება მოიპოვა, ხოლო იმავე წელიწადს ქალაქ ლიეჟში შაქრის მრეწველ-ქიმიკოსთა კონგრესზე წაკითხული მოხსენებისათვის „შაქრის ერგოგრაფია“ ქართველ ფიზიოლოგ ქალს მიენიჭა საფრანგეთის შაქრის მრეწველ-ქიმიკოსთა ასოციაციის ვერცხლის მედალი. ბარბალე ყიფიანის ორ შრომას, მიძღვნილს ბრიუსელი ჯგუფტარიანელებისადმი, ჯერ კიდევ 1908 წლამდე მიენიჭა პარიზის სამედიცინო აკადემიის ჯილდო (რა — კონკრეტულად არ ვიცით), 1908 წელს კი (თარიღი დაზუსტებას მოითხოვს), ბარბალე ყიფიანს პარიზში გამართული უსინათლოების ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილ კონგრესზე წარუდგენია მოხსენება, რომელსაც მედალი და საპატიო დიპლომი მიეკუთვნა.

1911 წელს ბრიუსელში გაიმართა ჰედოლოგების პირველი საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესზე ბარბალეს წარუდგენია თავისი შრომა „ტროპიზმი მოსწავლეთა შორის“. ეს შრომა გადმოუქართულებიათ და 1912 წელს დაუბეჭდავს ქართულ ჟურნალ „განათლებას“.

ჩვენთვის ცნობილია, რომ 1904 წლიდან 1913 წლამდე ბარბალე ყიფიანს დაუწერია და გამოუქვეყნებია 22 ფრიად მნიშვნელოვანი შრომა. მათ შორის ხუთი პროფესორ იუტეიკოსთან თანაავტორობით. ჩვენთვის ამ შრომების მხოლოდ სათაურებია ცნობილი, უცნობია მათი შინაარსი.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულის შრომები სისტემატურად იბეჭდებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პრესაში. განსაკუთრებით ხშირად იბეჭდებოდა მისი ნაშრომები პროფესორ იუტეიკოს ჟურნალში „ფსიქოლოგიური მიმოხილვა“, რომლის პასუხისმგებელი მდივანიც თვითონ გახლდათ. ევროპის მაშინდელი პრესა ბარბალეს, როგორც სახელგანთქმული და გამოჩენილი მეცნიერის შესახებ ხშირად აქვეყნებდა წერილებს.

ბარბალე ყიფიანი პირველი ქართველი ქალია, რომელიც ევროპაში, კერძოდ კი ბრიუსელის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს.

სამშობლოში ნაყოფიერებული ბარბალე ყიფიანი ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გაეკეთებინა საქართველოსათვის. როდესაც ბრიუსელში 1910 წელს გამართულ კონგრესზე ქართული მუზეუმის განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს (აღნიშნული კონგრესის გადაწყვეტილებით ბრიუსელში უნდა შექმნილიყო მსოფლიო მუზეუმი, რომლის ერთ-ერთი განყოფილებაც საქართველოს დათმობოდა), იგი დაუკავშირდა საქართველოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. ამ უკანასკნელის დახმარებით ბარბალემ უცხოეთში გამოფინა ლიტერატურა, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლეოდა საქართველოს ისტორიის, სიტყვიერების, ქართული გრამატიკის შესახებ.

დიდ დახმარებას უწევდა ბარბალე ყიფიანი ბელგიაში მყოფ ქართველ სტუდენტებს.

აი ყოველივე, რაც კი ვიცით ჩვენი დიდებული მეცნიერის შესახებ. გვსურს კი ვიცოდეთ ბევრად მეტი. ჩვენთვის საინტერესოა, როგორ წარიმართა მისი შემდგომი ცხოვრება, მიაღწია თუ არა მაღალ მეცნიერულ კარიერას, რა შესძინა მომავალში მეცნიერებას, როდის და როგორ დამთავრდა მისი ცხოვრება... (ვიცით მხოლოდ, რომ იგი რვა თუ ათი წლის წინათ გარდაიცვალა და დაკრძალულია ბრიუსელში).

ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებამ დაიწყო ამ სახელგანთქმული ფიზიოლოგის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა. ამ მხრივ მცირე წარმატებებიც გვაქვს, მაგრამ ყოველივე, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია. ახლა სიტყვა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი ბელგიასა და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ექიმებს ეკუთვნით. გამოჩენილი ფიზიოლოგი ქალის სახელი კიდევ უფრო საამაყო გახდება თითოეული ჩვენგანისათვის და ღირსეულ ადგილს დაიჭერს ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში.

ჯუმბერ ქორჩილავა,
ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.

სპორტული ლომის გვარისა



ჯვარედ ლომიძე ბუნებამაც ლომის ძალ-ღონით დააჯილდოვა. ისე დავუკაცდა, თანატოლს არ დასჭიდებია, უფროსებს კი, მოგეცათ ლხენა! სოფელ საყულიაში ჭიდაობა როგორ გაიმართებოდა, შოთა ლომიძეს ერთი-ორი აღიარებული ფალავანი არ დაეცა ბეჭებზე. დამარცხებულს პირველი უწვდიდა ხელს შესარიგებლად. ყოყოჩობა არ უყვარდა, სუსტის დაჩაგვრას კი არავის აპატიებდა.

ჭიდაობაში პირველი, ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაშიც ქუთაისის რაიონში ყველას სჯობდა 100 მეტრზე რბენაშიც ძნელად უდებდნენ ტოლს. მოსწავლეთა სპარტაკიადებზე სკოლისათვის ყველაზე მეტი ქულა შოთა ლომიძეს მოჰქონდა.

დაამთავრა სკოლა და სწავლის განსაგრძობად თბილისს მოაშურა. ჩემი საქმე ფიზკულტურის ინსტიტუტიაო, თქვა და საბუთები მძლეოსნობის ფაკულტეტზე შეიტანა.

მხარბეჭიანი, მკლავებდაბურცული ჰაბუკი ყველას თვალში მოუვიდა. მაგრამ მკაცრ გამომცდელებს მარტო თვალტანადობა როდი აწერინებს ნიშანს, ახლაც ახსოვს შოთას პირველი (და ალბათ უკანასკნელი) მარცხის სიმწარე, თავჩაქინდრული რომ გაუყვა შინ მიმავალ გზას.

დღე რომ ყანაში ტრიალებდა მამის მხარდამხარ, საღამოთი წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. თავისუფალ დროს კი ვარჯიშობდა.

ჯარში გაიწვიეს. სპორტსმენები რომ მოიკითხეს, შოთამ ერთი მეგობრის რჩევით — ძალოსანი ვარო, განაცხადა, გამოცდილი მწვრთნელი პირველსავე ვარჯიშზე მიხვდა, რა ძალოსანიც იყო „ლომის მოგვარე“ ჰაბუკი — ასე უძახდნენ შოთა ლომიძეს სიყვარულით მეგობრები, მაგრამ არაფერი უთქვამს — ელემენტარული ტექნიკის უცოდნელადაც კი თვითმარქვია „ძალოსანმა“ ისეთი სიმძიმის შტანგა ასწია, სპორტის ოსტატსაც შეშურდებოდა.

გადიოდა დღეები და ჯარისკაცი შოთა ლომიძე ოლქის რეკორდებზე იერიშის მისატანად ემზადებოდა, მაგრამ...

— ერთ დღეს ვარჯიშზე ცოტათი ადრე მივედი, — იგონებს შოთა, — თვალი მოჭიდავეების წვრთნამ მომტაცა. შორიახლო ჩამოვჯექი, ინტერესით შევცქეროდი ხალიჩაზე გამართულ ორთაბრძოლებს.

— ქართველები კარგი მოჭიდავეები არიან, შენ კი რკინებს დასჭიდებიხარო, გამკენწლა ფალავნების მწვრთნელმა. არც მე ვჭიდაობ ურიგოდ-მეთქი, ცოტა არ იყოს, მკვახედ ვუპასუხე და კარისაკენ გავემართე. მიმავალს ისევ მწვრთნელის სიტყვები მომწვდა: თუ კარგად ჭიდაობ, ჰა ბურთი და ჰა მოედანი. აბა, გამოწვევას როგორ გავექცეოდი. ტანთ გავიხადე და დარბაზში მყოფ მსუბუქი თუ მძიმე წონის მოჭიდავეს ყველას დავეჭიდე.

ის დღე იყო და ის დღე. შოთას საჭიდაო ხალიჩისათვის აღარასოდეს უღალატია.

სპორტულმა სამყარომ ფალავანი შოთა ლომიძე 1959 წელს გაიცნო. მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე საშუალო წონაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. მაგრამ ბევრმა ეს გამარჯვება შემთხვევითობას მიაწერა. სპეციალისტთაგან ძალზე ცოტამ ირწმუნა, რომ მხოლოდ ფიზიკურ ძალას მინდობილი ჭაბუკი მომავალში დიდი მოჭიდავე გახდებოდა. ახალგაზრდა ფალავნის საბედნიეროდ, მცირერიცხოვან თაყვანისმცემელთა შორის ერთი თმაშეერცხლილი მწვრთნელიც აღმოჩნდა. ეს კაცი ვასო ილურიძე გახლდათ, სპორტულ სამყაროში „ძია ვასოდ“ წოდებული. უბადლო აღმზრდელი ნოთმინებით შეუდგა შოთა ლომიძესთან მუშაობას. ერთხელ, საუბარში თვითონ შოთამ აღიარა — ფიზიკური ძალის სიჭარბე ხშირად დათვურ სამსახურს მიწევდა. იქ, სადაც ხერხი იყო საჭირო, მე მხოლოდ ღონეს ვაყენებდი, ვაყენებდი ჭარხულ ანდაზას — ხერხი სჯობია ღონესაო... ვასო ძიას უნდა ვუმადლოდე, ჭიდაობის ყველა საიდუმლოებას რომ ჩავწვდიო...

და აი თითქმის ათი წელიწადია შოთა ლომიძე მსოფლიოს საუკეთესო ფალავნებთან ჭიდილში თვალნათლივ ამტკიცებს, რა შეუძლია ძალისა და ტექნიკის ერთად თავმოყრას.

საინტერესოა ერთი ფაქტი — დღეისათვის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის მსოფლიოში არ არსებობს ფალავანი (მხედველობაში მყავს ნახევრად მძიმე და მძიმე წონის მოჭიდავეები), რომელსაც შოთა არ შეხვედროდეს და არ დაემარცხებინოს. ალბათ, იკითხავთ, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს, ლეგენდარულ მედვედს როდისღა მოუგოო? შენიშვნა სამართლიანი იქნება და განმარტებას მოითხოვს. მოხდა ისე, რომ ეს ორი მოჭიდავე ერთმანეთს ხალიჩაზე არასოდეს შეხვედრია. წვრთნის დროს კი მათი შერკინება ყოველთვის ფრედ მთავრდება...

1964 წლამდე შოთა ლომიძე საბჭოთა კავშირის პირველობაზე ისეთ აღიარებულ ფალავნებს შორის, როგორიც იყვნენ ალბული, ჭურკვეიძე, კულიევი, გობეჭიშვილი და სხვები მეორე-მესამე ადგილს იჭერდა. 1965 წელს კი პირველად მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული საშუალო წონაში.

1966 წელს შოთა უკვე ნახევარმძიმე წონაში გამოდის და კვლავ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ხდება. ამავე წელიწადს შოთა ლომიძე ევროპის ჩემპიონია და ამარცხებს სახელგანთქმულ მოჭიდავეს თურქ აიკს, ბულგარელ მუსტაფაევს და სხვებს (აიკმა იმავე წელს შეძლო ერთგვარი რევანშის აღება, — მსოფლიოს პირველობაზე, სადაც მძიმე წონაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას მედვედი იცავდა, უველა მეტოქე დაამარცხა და უძლიერესი მოჭიდავის სახელი დაიბრუნა).

1967 წელს შოთა კვლავ საბჭოთა კავშირის ჩემპიონია. ასევე უძლიერესია იგი ევროპაში, მაგრამ მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილზე გამოდის.

1968 წელს ტოკიოში გამართულ ოლიმპიურ ასპარეზობებზეც შოთა ლომიძე მეორე ადგილსა და ვერცხლის მედალს სჯერდება.

მხოლოდ 1969 წელს დაამტკიცა შოთამ, რომ იგი უძლიერესია ჩვენს პლანეტაზე. ჭერ იყო და, მძიმე წონის მოჭიდავეებს შორის საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონობა მოიგო, ხოლო შემდეგ ნახევარმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

1970 წელს ერთ-ერთი ვარჯიშის დროს შოთა ლომიძემ თვალის მძიმე ტრავმა მიიღო. მკურნალობა თითქმის 6 თვეს გაგრძელდა, ყველას ეგონა, 34 წლის შოთა ლომიძე დიდი სპორტიდან წავიდოდა, მაგრამ სხვანაირად ფიქრობდა თვით ფალავანი. როგორც კი ექიმებმა ვარჯიშის ნება დართეს, დარბაზს მიაშურა და თითქოს არაფერი მომხდარაო. წვრთნა განაგრძო, ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე კვლავ დაამტკიცა, რომ ბადალი არა ჰყავს, დამაჯერებლად მოუგო ყველა მეტოქეს და მისი გამარჯვების აღსანიშნავად კიდევ ერთხელ აუღერდა ჩვენი რესპუბლიკის ჰიმნი.

დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა და ჭიდაობის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში ბულგარეთის დედაქალაქი სოფია მოექცა.

აქ გამართულმა მსოფლიო პირველობამ თავისუფალ ჭიდაობაში კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ შოთა ლომიძე უძლიერესია მსოფლიოში.

საინტერესოა, რომ შეჯიბრების დაწყებამდე სკეპტიკოსებს ეგონათ: შოთა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ „მოხუცდა“ და მსოფლიოს ჩემპიონის სახელს ვეღარ მოიხვეჭსო. ამიტომაც იყო, რომ ბულგარეთში გასაგზავნად სხვა კანდიდატს ეძებდნენ. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა საკონტროლო შეხვედრებისას შოთასთან ჭიდილში ფრესაც ვერ მიაღწია!


ქართველ ტურისტთა ჯგუფის წევრებს საშუალება გვქონდა ჩვენი თვალით გვენახა, რა დიდ პატივსა სცემენ სოფიაში ჭიდაობას. იქ რომ ჩავედით, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ისის იყო დაამთავრეს ასპარეზობა და ახლა „კლასიკოსები“ ერკინებოდნენ ერთმანეთს. შოთა ლომიძისა და ლევან თედიაშვილის ბრწყინვალე გამარჯვება ყველას პირზე ეკერა, ამ ორმა ქართველმა მოჭიდავემ არა მარტო მსოფლიოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა, არამედ ძალზე მომთხოვნი მაყურებლის თაყვანისცემაც დაიმსახურა. მასპინძლები რომ გაგებდნენ, საქართველოდან ვიყავით, ხელს გვართმევდნენ, ლომიძისა და თედიაშვილის გვარს დაუსრულებლივ იმეორებდნენ, მათ სურათებს გვიჩვენებდნენ. გვიხსნიდნენ, რომელი მეტოქე რა ილეთით გააკრეს ბეჭებზე.


ჭიდაობის ერთი გულშემატკივარი კი ასეთ ამბავს მოგვიყვა — ერთ-ერთმა მოჭიდავემ შოთას დამარცხება აკრძალული ილეთით განიზრახა. სრულიად მოულოდნელად მუცლის არეში ისეთი ძალით დაჰკრა თავი, რომ ქართველი მოჭიდავე შებარბაცდა, ზურგს უკან მდგომ მსაჯს დაეჯახა და მასთან ერთად ხალიჩიდან გადავარდა. ასე უდიერობით განაწყენებული შოთა ჯიქურ მიიჭრა მეტოქესთან, 100-კილოგრამიანი მოჭიდავე ბავშვივით აიტაცა ხელში და როდესაც უველას ეგონა, მთელი ძალით დასცემს ხალიჩაზეო, რაინდულ წესს არ უღალატა, მშვიდად დაწვინა ბეჭებზე. მაყურებელმა ტაშით გააცილა ქართველი გოლიათი სარბიელიდან, მსაჯმა კი ხელი ჩამოართვა და პირველმა მიულოცა გამარჯვება.


მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი შოთა ლომიძე ახლა ოლიმპიური ასპარეზობისათვის ემზადება.

— ბედნიერი ვიქნები, თუ დიდ სპორტს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულით გამოვეთხოვები, შემდეგ უკვე სხვებმა სცადონ თავიანთი მკლავის ძალა. მე კი ვენახს ჩავუდგები კვალში. აგრონომ კაცს აბა საქმეს რა გამომილევს, — მითხრა საუბარში შოთამ, როდესაც მომავლის გეგმებზე ჩამოვუგდე სიტყვა. ოლიმპიურ ასპარეზობამდე არც ისე დიდი დროა. გვჯერა, შოთა კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ლომის გვარისაა!...

რევაზ მაჭავარიანი







სურათებზე: ზევით — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი შოთა ლომიძე. შუაში — ხალიჩაზეა შოთა ლომიძე. ქვევით — შოთა ქალიშვილებთან.



შოთა იამანიძე



● ასეთი დარჩა ჩვენს მეხსიერებაში შოთა იამანიძე...

საუკუთოდნელად გარდაიცვალა ქართული სპორტის სახელოვანი წარმომადგენელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, წლების მანძილზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კრწანისის სამშენებლო სამმართველოს უფროსი **შოთა დავითის ძე იამანიძე.**

შეწყდა მჩქეფარე სიცოცხლე შესანიშნავი ადამიანისა, იგი ჯერ ოცდაოთხმეტი წლისაც კი არ იყო და უკვე მოხვეჭილი ჰქონდა საყოველთაო სიყვარული და ავტორიტეტი.

შოთა იამანიძემ მოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო.

1955 წელს საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, დაამთავრა სამშენებლო ფაკულტეტი და ინჟინერ-მშენებელი გახდა.

შოთა იამანიძემ თავისი ცხოვრება სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობას — ფეხბურთს დაუკავშირა ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან, როცა თბილისის 35-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა. 1954 წლიდან კი უკვე თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა და წლების მანძილზე მისი კაპიტანი იყო.

შოთა იამანიძე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი იყო 1964 წელსაც, როცა გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

იგი ყოველმხრივ სამაგალითო სპორტსმენი გახლდათ: თავმდაბალი, ზრდილობიანი, თავაზიანი, სარბიელზე კი — ნამდვილი რაინდი! მთელი თავისი ცოდნისა და ძალის დაუზოგავად იბრძოდა საქართველოს სპორტული დიდებისათვის, ენერგიულმა, საქმის მცოდნე ინჟინერ-მშენებელმა და სამეურნეო მუშაკმა. იგი მთელი გატაცებით მუშაობდა თბილისის გარეუბნებში სპორტულების მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობისათვის საწარმოო და კულტურულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების აგებაზე.

სახელოვანი სპორტსმენი და კარგი ინჟინერ-მშენებელი მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. ორჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

შოთა იამანიძე დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლით, სხვადასხვა წლის დამდეგიდან — ამავე ტრესტის კრწანისის სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

შოთა იამანიძემ მოკლე დროში გამოიჩინა თავი როგორც ინიციატივიანმა, ენერგიულმა, საქმის მცოდნე ინჟინერ-მშენებელმა და სამეურნეო მუშაკმა. იგი მთელი გატაცებით მუშაობდა თბილისის გარეუბნებში სპორტულების მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობისათვის საწარმოო და კულტურულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების აგებაზე.

დიდებული მოქალაქის, ბრწყინვალე სპორტსმენის, მზარდი და ინიციატივიანი ინჟინერ-მშენებლის, უსაყვარლესი მეგობრისა და ამხანაგის შოთა იამანიძის ნათელი სახე დიდხანს დარჩება ფართო საზოგადოებრიობის ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

დაგმეძებნა, მოგველიან

კარლო ვასილის ძე გუდაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ხარაგოულის რაიონის სოფელ ჩრდილში, ეძებენ დედა — **ელენე,** დეიდები — **პასიკო, ლუბა, ლილი არევაძეები,** მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, ატენის შესახვევი № 18.

ვარლამ კეტრეს ძე დავითაიას,

დაბადებულს 1919 წელს აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში, ეძებენ დედა — **აგრაფინა,** შვილი — **აკაკი,** დები — **ფედოსია, მაგდანა, ქსენია (გუგუ),** ძმა — **ნოე დავითაიები,** მცხოვრებნი აბაშის რაიონის სოფელ წყემში.

ალექსანდრე სამუელის ძე ნაკაიძეს,

დაბადებულს 1915 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში, ეძებენ დედა — **მაკრინე,** მეუღლე — **თამარი,** შვილები — **გური, ზაურ, რიზალ ნაკაიძეები,** მცხოვრებნი ნატანებში.

ნექტარ ესაიას ძე ფირცხალავას,

დაბადებულს 1914 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორში, ეძებენ მეუღლე — **მარგო,** შვილები — **სვეტლანა** და **მზია ფირცხალავები,** მცხოვრებნი ქალაქ ცხაკაიაში, კუიბიშევის ქუჩა № 43.

მიხეილ გასას ძე იოგბიას,

დაბადებულს 1914 წელს ქალაქ აბაშაში, ეძებს და — **შურა იობია,** მცხოვრები აბაშაში, ნინოშვილის ქუჩა № 9.

ვიქტორ პეტრეს ძე მასხულიას,

დაბადებულს 1914 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ ნაჭალაქევში, ეძებს მამა — **პეტრე მასხულია,** მცხოვრები თბილისში, ჩკალოვის ქუჩა № 5.

კონსტანტინე ბარნაბის ძე ნემსაძეს,

დაბადებულს 1924 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ფერსათში, ეძებს დედა — **ლუბა ნემსაძე,** მცხოვრები მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ფერსათში.

ვართან ზაქარიას ძე ამირგულაშვილს,

დაბადებულს 1922 წელს ქალაქ თელავში, ეძებენ დედა — **მარიამი,** შამა — **ზაქარია (შაქრო),** და — **ზაირა ამირგულაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, სამღებროს ქუჩა № 12.

ვლადიმერ ვლადიმერის ძე ლაშხაურს,


დაბადებულს 1915 წელს მოსკოვის ოლქის სოფელ სერპუხოვოში, ეძებს და — **თამარ ლაშხაური,** მცხოვრები თბილისში, ბარნოვის ქუჩა № 91-ში.

გრიგოლ (კოლია) გიორგის ძე ჰიქაშუას,

დაბადებულს 1907 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ოფეთში, ეძებს მეუღლე — **ვახასი,** შვილი — **ჟუჟუნა ჰიქაშუები,** მცხოვრებნი თბილისში, არაგვის ქუჩა № 14.

ზაქარია ისაკის ძე გელდიაშვილს,

დაბადებულს 1904 წელს თელავის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში, ეძებენ მეუღლე — **ანა,** შვილები — **სანათა, ბიძინა,** მელანია გელდიაშვილები, და — **მარიამ გელდიაშვილი-ხუციშვილისა,** მცხოვრებნი ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში.



● თამაშობს საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ვასილ მჭედლიშვილის ფოტო.

სპორტული ქრონიკა

ალექსანდრე მეტრეველის ტრიუმფი

თბილისის კორტებზე დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობა ჩოგბურთში. გაგვახარა ალექსანდრე მეტრეველის ბრწყინვალე თამაშმა. იგი მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე და ყველა თანრიგში გამარჯვება იზეიმა.

პირად პირველობაზე ფინალში მეტრეველის მეტოქე ტალინელი ლეიუსი იყო. ქართველმა სპორტსმენმა მოწინააღმდეგე თამაშის ყველა სტადიაში დაჭაბნა. იგი ლეიუსზე ბევრად ძლიერი იყო როგორც ბადესთან, ისე უკანა ხაზიდან თამაშში.

პირველი ხელი მეტრეველმა მოიგო ანგარიშით 6:2. კიდევ უფრო დამაჯერებელი გამოდგა მისი უპირატესობა მეორე პარტიაში — 6:1. მესამე პარტიაში კი გაიმარჯვა ანგარიშით — 6:3.

მოსკოველ მოროზოვასთან ერთად მეტრეველმა შერეულ წყვილთა ფინალში დაამარცხა ბაქოელები ბირიუკოვა და ლიხაჩოვი.

კარგი თამაშით გაგვახარა თეიმურაზ კაკულიამაც. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში მან სძლია ლენინგრადელ ივანოვს.

გორელებმა გაიმარჯვეს

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული კლუბი ერთ კვირას მასპინძლობდა ათობით პროფკავშირების ძიუ-დოისტთა ნაკრებს. მოკიდაველები ხალიჩაზე ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ, ორივეჯერ მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენები ინტერესით გაეცნენ ამ უძველესი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

ჩემპიონები საქართველოდან

ვახაჩყალაში გაიმართა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

დიდ წარმატებას მიაღწია ჩვენმა ნაკრებმა, მან პირველი ადგილი დაიკავა.

კარგად გამოვიდნენ საქართველოს წარჩინებულები პირად შეჯიბრებაშიც. საზოგადოების ჩემპიონის წოდება მოიპოვეს მიქელაძემ, ხოხაშვილმა, მარსაგიშვილმა და მოდებაძემ.

II საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს მაღალაშვილმა, დგებუაძემ, ჭანკვეტაძემ და ჭუაძემ.

„ქართული ენის გრამატიკა“ შრანგულ ენაზე

გამოჩენილმა ნორვეგიელმა ენათმეცნიერმა ჰანს ფოქტმა ახლახან ოსლოში გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“ (ცივილიზაციის შედარებითი კვლევის ინსტიტუტის გამოცემა, ოსლო, 1971 წელი). ეს არის მისი ადრინდელი წიგნის — „ახალი ქართული ენის ესკიზის“ (1936 წელი) — გადამუშავებული, გაღრმავებული გამოცემა. სწორედ ამ წიგნით მოიპოვა მან ლინგვისტიკის სამეცნიერო ხარისხი.

ჰანს ფოქტის ამ ახალ ნაშრომში ჭარბად არის გამოყენებული ენობრივი მასალები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, მიხეილ ჯავახიშვილისა და სხვა ქართველი მწერლების თხზულებებიდან. ფაქტების ანალიზისას ავტორი კრიტიკულად სარგებლობს სხვადასხვა ენაზე არსებული ენათმეცნიერული ლიტერატურით.

ეს ნაშრომი ავტორის დიდი გამარჯვებაა. იგი უცხოელი ლინგვისტისათვის ძვირფასი საცნობარო წიგნია.

ერთი ჭიქა მზე...

ბათუმი. ზღვა მართლაც ისეთი მშვიდი და წყნარი იყო, რომ „აღარც მასსოვს იყო თუ არა“...

ბათუმში მართლაც „ყველა დრო სხვაა“, აპრილიცა და დეკემბერიც!

აქ, — წერდა ტიციანი, — გაღებულია სამოთხის კარი და მე მცხვენია, რომ ვარ უშენოდ. მართლაც ბათუმში თითქოს უფრო გენატრება შენიანი. ასეთია ჩასული კაცის თვალით ბათუმი.

...ბათუმში, მარჭვის ჭუჭაზე, ერთ პატარა სახლში ცხოვრობს ამ ქალაქის მკვიდრი კონსტანტინე ვარდანაშვილი, ხანში შესული, ჭარმაგი, მხნე ხასიათის მქონე კაცი.

ჟურნალისტის ცხოვრებაში შემთხვევით გაცნობილი კაცი არ არსებობს. ჩვენი საქმე ყველა რანგისა და სჯულის ხალხთან შეხვედრაა. ამიტომ ეს შემთხვევითი შეხვედრა ახლა აუცილებლად მიმაჩნია.

მამა-შვილი, დიდი და პატარა კონსტანტინე ვარდანაშვილები იმ მორიდებულ და ჩუმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნიან, რომელთა შესახებ ჭეშმარიტად ღირს მოუთხრო მკითხველს.

კონსტანტინე უფროსი ახლა პენსიონერია.

ამ ოჯახში ყველაფერი ზღვასთან და გზასთან არის დაკავშირებული, რადგან ვაჟი კონსტანტინე მცირე— მეზღვაურია. ეს სეხნია მამა-შვილი ძალზე ჰგვანან ერთმანეთს, ოღონდ მამა უფრო მორცხვია და შვილი უფრო დინჯი.

პატარა სახლის წინ თალარი აქვთ. წინადღით კახეთიდან დაბრუნებული ვიყავი და რქაწითელის ვაზით თვალმოყირჭებულ კაცს რად მომეჩვენებოდა ერთ პატარა აივანზე ასული ვენახი. მაგრამ მამა-მასპინძელმა საგანგებოდ ჩამომიგდო საუბარი თალარზე.

— რამდენი ჩამოდის, თუ იცით, ამ ვენახზე? — მკითხა მთელი სერიოზულობით.

ერთი გაცინება ქვეყანას მერჩია, სინამდვილეში კი, თურმე ცრემლამდე საინტერესო ამბავთან არის დაკავშირებული მამა კონსტანტინეს ეს „მიკრომეურნეობა“.

19 წელიწადია შვილი კონსტანტინე სახლიდან წასულა. 19 წელიწადია ჩრდილოეთში მსახურობს. არხანგელსკშია, — გვიამბობს მამა.— რაც აქ ყურძენი ჩამოდის, სულ იმისათვის ვწურავ. ასე მგონია, მზეს ვუგროვებ, ხუთი-ექვსი ფუთი მოდის, იცოდეთ! — დამჯერებლად მითხრა მოხუცმა, — რაც ბიჭი წავიდა, არც ერთი კუმპალი არ გამისინჯავს... არც ერთი ჭიქა არ დამილევია, მეშინია, არ დააკლდეს! ვუგზავნი, მას გემზე მიაქვს და თითო პატარა ჭიქა თავისი ეზოს მზის წვენს ყოველდღე გეახლებათ.

...ვინც დაჰკვირვებია მამაშვილობის უხილავ ჯადო-ჯაჭვის ძალას, ადვილად მიხვდება, ამ ერთ ჭიქა ღვინოს რამდენ დარდს, იმედსა და სიყვარულს ატანს ეს მხნე ბერიკაცი.

უმცროსი კონსტანტინე ვარდანაშვილი იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ხვედრია შკითხვაზე — რას აკეთებთ? — გიპასუხოთ:

— ქვეყანას ვაშენებ!

მართლა ქვეყანას აშენებს ეს შორეული ცურვის კაპიტანი: დადის ხომალდ „ანდომალესით“ და მთელ მსოფლიოში დააქვს საშენი მასალა. დადის, არც სიცივეს ერიდება და არც სიცხეს, კუბიდან იგარკამდე, ვენეციიდან ლონდონამდე, არხანგელსკიდან ფოთში, სერავს ზღვებსა და ოკეანეებს. რაც კონსტანტინე ვარდანაშვილს ხე-ტყე გადაუზიდავს, ერთ პატარა ქალაქს ნამდვილად ააშენებდა. მოდი და თქვი, რომ არ აშენებს ქვეყანას ეს პატიოსანი კაცი!

კაპიტნების ბიოგრაფიები ძალზე ჰგვანან ერთმანეთს: მეზღვაურები მფრინავებივით არიან: ვინც ახერხებს დიდობაში შეინახოს ბავშვობა, მიზანს აღწევს და მფრინავი ან მეზღვაური ხდება.

კონსტანტინე ვარდანაშვილი ბიჭობაში ზღვაზე ოცნებობდა, თუმცა საოცნებო აქ არაფერი იყო — მისი სახლიდან ზღვამდე ოცი მეტრია მხოლოდ... ოცნებობდა უცხო ქალაქებზე, განშორების კეთილ დარდზე და შეხვედრის განუმეორებელ სიხარულზე, გზებზე, შორს წასვლაზე, ოღონდ, მგონი შორს წასვლით ცოტა გადაჭარბა და ოჯახით არხანგელსკში დასახლდა...

ცოლ-შვილი არხანგელსკშია, დედამამა — ბათუმში, თვითონ გარშემო უელის ამ ვეებერთელა ქვეყანას!

ყველა მეზღვაურს გულში ერთი საკუთარი შუქურა აქვს — ეს მისი ოჯახია! კონსტანტინე ვარდანაშვილს კი ორი საკუთარი შუქურა აქვს: ერთი ბათუმში და ერთი არხანგელსკში. ამ ორ ნავსადგურში ჩაშვებული ღუზა შინ მოსვლას ნიშნავს.

ბათუმში საღამოს ზღვისპირას ვნახეთ ყველა ერთად.. შვილები, მეუღლე, მამა... დედა? ჩვენში ასე იციან დედებმა, ყოველთვის გამოძებნიან საქმეს; დედა შინ დარჩა!

უმცროსი კონსტანტინეს ვაჟი — ვლადიმერიც მალე გავა ზღვაში, ისიც მეზღვაური იქნება.. იქნებ მისმა შვილმაც, შვილიშვილმაც მიაშურონ ზღვას და ჩვენშიც, საქართველოშიც, მეზღვაურობა საგვარეულო საქმედ იქცეს!

მაშინ მამა გადმოვიდეს ნაპირზე და შვილი შეივიდეს ზღვაში. ახლა ამან გაუგზავნოს ერთი ჭიქა თავისი ეზოს მზის წვენი შვილს...

..ხელთა მაქვს „ახალგაზრა კომუნისტის“ ერთი საახალწლო ნომერი, დიდი ნარკვევი დაუბეჭდავთ, პათეტიკური, ლამაზი სათაურით:

„ზღვათა მპყრობელის კონსტანტინეს მარჯვენა“.

ნარკვევის დასასრულ მამა კონსტანტინეს გაგზავნილი საახალწლო დეპეშაა:

„შვილო კონსტანტინე და ეკიპაჟის წევრო შვილებო, გილოცავთ ახალ წელიწადს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერ ნაოსნობას, გილოცავთ ჩვენი სასიქადულო რუსთაველის ავთანდილის სიტყვებით:

„შენგან ვითხოვ შეწევნასა,
რაზომსაცა გზასა ვვლიდე,
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა,
ღამით მავნე განმარიდე!“

ნუ ღელავ მამა-კონსტანტინე, შენ მზე შეუგროვე შვილს, ახლა ნეპტუნიც ჩვენი კაცია და ჩვენს ვაჟკაცთა ხომალდების აფრას მუდამ სამშვიდობო ქარი უბერავს ..!

რევაზ დვალიშვილი.

ამერიკელი გუბერნატორები თბილისში

ჩვენი დედაქალაქი რამდენსამე დღეს მასპინძლობდა ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა მისური შტატის გუბერნატორი უორენ ჰერნსი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ გუბერნატორები: არკანზასის შტატისა — დეილ ბამპერსი, კოლორადოს შტატისა — ჯონ ლავი, მერილენდის შტატისა — მარვინ მანდელი, მიჩიგანის შტატისა — უილიამ მილიკენი, ოკლაჰომის შტატისა — დევიდ ჰოლი, ვაიომინგის შტატისა — სტენლი ჰეთუეი, პუერტო-რიკოსი — ლუის ფერე.

მოგზაურობის დროს სტუმრებს ახლდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე გუბერნატორებთან კავშირურთიერთობის დარგში აბრამ მანელი, გუბერნატორთა ეროვნული კონფერენციის დირექტორი ფედერალური მთავრობისა და შტატების ურთიერთობის საკითხებში ჩარლზ ბაირელი, ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს მეორე მდივანი ლარი სილკასი, აგრეთვე ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

ამერიკელ გუბერნატორთა ჩამოსვლა საქართველოში ძალზე სასარგებლოა მეგობრული თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხალხთა ურთიერთგაგებისათვის. ეს სტუმრობა ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ იგი ერთგვარი პრელუდიაა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის ვიზიტისა საბჭოთა კავშირში, რომელიც მოსკოვში გაისად, მაისში გაიმართება.

სტუმრები გაეცნენ ჩვენი დედაქალაქისა და რესპუბლიკის ცხოვრებას. ჩამოსვლის დღესვე, 12 ოქტომბერს, დაათვალიერეს თბილისი, ნახეს საქართველოს ფილარმონიას დიდი საკონცერტო დარბაზი, სპორტის სასახლე, საბურთალოს ახალმშენებლობანი, კუს ტბა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ივანე სარიშვილმა სტუმრებს მოუთხრო ინსტიტუტის ტრადიციებზე, მის აღზრდილ სპეციალისტებზე. საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი იოსებ რთველიაშვილი.

ინსტიტუტის ახალგაზრდებმა სტუმრები მიიწვიეს მხატვრული თვითმოქმედების რეპეტიციაზე და უჩვენეს თავიანთი ხელოვნება, ამ არაჩვეულებრივი კონცერტის შემდეგ, რომელიც ამერიკელ გუბერნატორებს ძალიან მოეწონათ, სტუმრებმა მასპინძლებთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

იმავე საღამოს დელეგაციის წევრები დაესწრნენ ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს — დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სპექტაკლს „აბესალომ და ეთერს“, რომელმაც მათზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორები მიიღეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შოთა ბუხრაშვილმა, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა შალვა კიკნაძემ. სტუმრებს ესაუბრნენ საბინაო და კულტურულ მშენებლობაზე, ქალაქის ტრანსპორტის მუშაობაზე, დედაქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაზე, ქართველი ხალხის წარმატებებზე ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

საინტერესო გამოდგა ამერიკელი გუბერნატორების სტუმრობა ვარკეთილის მეურნეობაში. აქ ისინი გაეცნენ ვრცელ მეურნეობას, იყვნენ ვენახებში, სპორტულ დარბაზში, საშუალო სკოლაში, საბავშვო ბაღსა და ბაგაში, კულტურის სახლში, ამბულატორიაში. ნახეს დოკუმენტური ფერადი ფილმი „ვარკეთილი“.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს აგრეთვე საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, იყვნენ სინაგოგაში და ესაუბრნენ ებრაელთა საზოგადოების წევრებს, ეწვივნენ მცხეთას.

საქართველოდან წასვლის წინ დელეგაციის მეთაურმა უორენ ჰერნსმა მადლობა გადაიხადა დელეგაციის გულთბილი მიღებისათვის. მან თქვა, რომ ამერიკელ გუბერნატორთა ვიზიტი საბჭოთა კავშირში, და, კერძოდ, საქართველოში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის უკეთეს ურთიერთგაგებას, თანამშრომლობას.



„ორერას“ საგასტროლო გზები

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანსამბლ „ორერას“ სამართლიანად უჭირავს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი საბჭოთა ესტრადაზე. იგი მხოლოდ იმით კი არ გვაჯადოებს, რომ მისი წევრები მღერიან საოცრად კარგად, უზადოდ, მსმენელს ანიჭებენ ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას. არც მხოლოდ იმიტომ, რომ შემსრულებლები თითქოს ცხოველ სულს შთაბერავენ სიმღერას, ქართული იქნება ის, ამერიკული, რუსული თუ ფრანგული. მთავარი ის არის, რომ როცა სცენაზეა „ორერა“, მსმენელები ვეწაფებით ნამდვილ ხელოვნებას, მართალ ხელოვნებას, მხიარულებით იმპროვიზებულს — ასე წერდა საკავშირო გაზეთი „ლიტერატურნაია გაზეტა“ საქართველოს ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლის „ორერას“ ერთ-ერთ გასტროლებზე მოსკოვში. და არა მარტო ეს გაზეთი. ყველგან, სადაც კი გამოსულა „ორერა“ და თავისი საუცხოო ხელოვნება გაუცნია მსმენელებისათვის, სიყვარული, პატივისცემა და აღიარება დაუმსახურებია.

„ბრწყინვალე მუსიკალური გემოვნება და ოსტატობა ანსამბლს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ ვირტუოზულად შეასრულოს ჩვენთვის ნაცნობი ხალხური სიმღერები, არამედ გააფართოოს რეპერტუარი. რეპერტუარი კი ძალზე ვრცელი აქვს — XII საუკუნის ქართული ქორალებითა და ბრამსის „იავნანათი“ დაწყებული, ყველაზე თანამედროვე საცეკვაო რიტმებამდე. და ყველაფერი ძალზე წმინდაა და კრიალა, თითქოს ძვირფასი თვალიდან იყოს გამოძერწილი“ — ეს სიტყვებიც „ორერას“ მისამართით იყო დაწერილი საკავშირო გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“. ვფიქრობთ, პრესიდან მოყვანილი ეს ორი ციტატაც კარგად მიუთითებს იმ დიდ სიყვარულსა და აღიარებაზე, რომელიც მოპოვებული აქვს „ორერას“ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ.

ამ დღეებში ანსამბლი შორეული მოგზაურობის გზას დაადგა. ინდოეთი, ცეილონი, სინგაპური, მალაიზია, ნეპალი — ასეთია „ორერას“ საგასტროლო აფიშა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხელოვნების დესპანები ამ მოგზაურობით უფრო მეტ თაყვანისმცემელს შეიძენენ და შორს გაუთქვამენ საბელს ჭართულ ეროვნულ ესტრადას.

რედაქტორის მაგიერ
ვასილ მჭედლიშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488